



შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება

**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის**



ს ა რ ჩ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
მოგება -ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9
1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ	20
5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები	22
6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	24
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	24
8. გაცემული სესხები და მისაღები პროცენტი	25
9. მარაგები	26
10. ძირითადი საშუალებები	26
11. საინვესტიციო ქონება	27
12. არამატერიალური აქტივები	28
13. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	29
14. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	29
15. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები	30
16. ფულადი ნაკადების ანგარიშგება	31
17. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა	32
18. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	35

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით**

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19	31-12-18
აქტივები				
მოკლვადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	6	124,460	1,474	11,594
სავაჭრო და სხვა მოკლვადიანი მოთხოვნები	7	967,649	1,444,909	806,498
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტი მარაგები	8	-	8,120,038	7,449,660
	9	20,947	3,390	-
უღმოკლვადიანი აქტივები		1,113,056	9,569,811	8,267,752
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	92,327	148,593	251,163
საინვესტიციო ქონება	11	9,590,958	10,042,283	10,494,848
არამატერიალური აქტივები	12	1,182	186	186
გაცემული სესხები	8	-	2,462,828	4,101,535
უღგრძელვადიანი აქტივები		9,684,467	12,653,890	14,847,732
მოთვანი აქტივები		10,797,523	22,223,701	23,115,484
ვალდებულებები				
მოკლვადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლვადიანი ვალდებულებები	13	86,378	74,000	26,233
საგადასახადო ვალდებულებები მოკლვადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	14	177,077 7,546,603	11,694 17,815,989	33,830 17,718,921
უღმოკლვადიანი ვალდებულებები		7,810,058	17,901,683	17,778,984
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	14	12,968,789	12,690,513	12,803,774
უღგრძელვადიანი ვალდებულებები		12,968,789	12,690,513	12,803,774
მოთვანი ვალდებულებები		20,778,846	30,592,196	30,582,758
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3,162,400	3,162,400	3,162,400
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი არალი)		(13,143,724)	(11,530,896)	(10,629,674)
უღსაკუთარი კაპიტალი		(9,981,324)	(8,368,496)	(7,467,274)
მოთვანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		10,797,523	22,223,701	23,115,484

დირექტორი



შალვა წაქაძე

ფინანსური დირექტორი



თამარ გახარია

7-31 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

**მოგება -ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის
ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის**

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
ამონაგები		1,599,642	2,864,999
სხვა შემოსავლები		137,104	5,158
შრომის ანაზღაურება		(544,632)	(582,374)
ცვეთა და ამორტიზაცია		(499,317)	(515,420)
დაზღვევის ხარჯი		-	(43,810)
საკონსულტაციო ხარჯები		(23,927)	(75,894)
იჯარის ხარჯი		-	(8,222)
ქონების დაგასახადი		-	(212,571)
საბანკო ჯარიმების ხარჯი		-	(157,593)
ზარალი საკუროს სხვაობიდან		(1,552,388)	(754,347)
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		(9,372)	(12,596)
სხვა ხარჯები		(543,982)	(5,856)
საოპერაციო მოგება		(1,436,871)	501,473
ფინანსური შემოსავალი		681,997	1,329,438
ფინანსური ხარჯი		(857,954)	(2,732,133)
მოგება დაბეგვრამდე		(1,612,828)	(901,222)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(1,612,828)	(901,222)

დირექტორი

ფინანსური დირექტორი




შალვა წაქაძე

თამარ გახარია

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

7-31 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ს ა კ უ თ ა რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ს ც ვ ლ ე ბ ე ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა 2020 წ ლ ს 31 დ ე კ ე მ ბ რ ი თ და ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი წ ლ ს ა თ ვ ი ს

	ს ა წ ე ს დ ე ბ ო კ ა პ ი ტ ა ლ	გ ა უ ნ ა წ ი ლ ე ბ ე ლ ი მ ო გ ე ბ ა	ს უ ლ ს ა კ უ თ ა რ ი კ ა პ ი ტ ა ლ
ნ ა შ თ ი 2018 წ ლ ს 1 ი ა ნ ვ ა რ ს	3,162,400	(10,345,018)	(7,182,618)
პ ე რ ი ო დ ი ს მ თ ლ ა ნ ი ს რ უ ლ			
შ ე მ ო ს ა ვ ა ლ	-	(284,656)	(284,656)
დ ი ვ ი დ ე ნ დ ე ბ ი	-	-	-
ნ ა შ თ ი 2018 წ ლ ს 31 დ ე კ ე მ ბ ე რ ს	3,162,400	(10,629,674)	(7,467,274)
პ ე რ ი ო დ ი ს მ თ ლ ა ნ ი ს რ უ ლ			
შ ე მ ო ს ა ვ ა ლ	-	(901,222)	(901,222)
დ ი ვ ი დ ე ნ დ ე ბ ი	-	-	-
ნ ა შ თ ი 2019 წ ლ ს 31 დ ე კ ე მ ბ ე რ ს	3,162,400	(11,530,896)	(8,368,496)
პ ე რ ი ო დ ი ს მ თ ლ ა ნ ი ს რ უ ლ			
შ ე მ ო ს ა ვ ა ლ	-	(1,612,828)	-
დ ი ვ ი დ ე ნ დ ე ბ ი	-	-	-
ნ ა შ თ ი 2020 წ ლ ს 31 დ ე კ ე მ ბ ე რ ს	3,162,400	(13,143,724)	(9,981,324)

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი



შ ა ლ ზ ა წ ა ქ ა ძ ე

ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი დ ი რ ე ქ ტ ო რ ი



თ ა მ ა რ გ ა ხ ა რ ი ა

7-31 გ ვ ე რ დ ე ბ ზ ე მ ო გ ე მ უ ლ ა ხ ს ნ ა - გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი მ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი
ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ი ს გ ა ნ უ ყ ო ფ ე ლ ნ ა წ ი ლ ს

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	31-12-20	31-12-19
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება და ეგვრამდე	(1,612,828)	(901,222)
კორექტირები ან ფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		
- ცვლადი ამორტიზაცია	499,317	515,420
- არაფულადი ხარჯები	-	10,965
- (მოგება)/ზარალი საკუროს სხვაობიდან	1,552,986	754,347
- ფინანსური შემოსავალი	(681,997)	(1,329,438)
- ფინანსური ხარჯი	857,954	2,732,133
- (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	9,372	12,596
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:		
- მარაგები	(17,557)	(3,390)
- მოკლევადიანი მოთხოვნები	(252,518)	(638,411)
- სხვა საგადასახადო აქტივები/	165,383	(22,135)
ვალდებულებები		
- მოკლევადიანი ვალდებულებები	12,378	47,760
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	532,489	1,178,625
მიღებული პროცენტი	-	121,217.65
გადახდილი პროცენტები	(489,902)	(1,528,841)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	42,587	(228,998)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	27,119
მიღებული თანხები	-	
გაცემული სესხების დაფარვა	-	1,626,732
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	1,653,851
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	80,399	912,224
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	-	(2,340,606)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	80,399	(1,428,382)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	122,986	(3,529)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	1,474	11,594
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება	-	(6,591)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	124,460	1,474

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

დირექტორი



შალვა წაქაძე

ფინანსური დირექტორი



თამარ გახარია

7-31 გვერდებზე მოცემულ ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს თბილისი მოლი (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2007 წლის 11 ოქტომბერს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილ. ჭავჭავაძის

გამზ., №76.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელობის სტრუქტურა ასეთი იყო:

	2020	2019
ჰოლდექს ინტერსეილს კორპ	44%	44%
ლერტი ზუბადალშვილი	20%	20%
ხვიჩა მაქაცარი	26%	26%
ილონა მეტრეველი,	10%	10%
	100%	100%

კომპანიის საბანკო სესხები უზრუნველყოფილია მფლობელთა კუთვნილი წილთა საწარმოში. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა (შენიშვნა 14).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

2020 წლის თებერვლიდან ქვეყანაში დაფიქსირდა კორონავირუსის შემთხვევები. ვირუსმა და აგრეთვე მისი გავრცელების აღკვეთის მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად დააზიანა ქვეყნის ეკონომიკური გარემო. 2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებდა საგანგებო მდგომარეობა და შეზღუდული იყო გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმოება.

ყოველთვის ამან გამოიწვია კომპანიის შემოსავლების შემცირება. კომპანია ითვალისწინებს მოვლენების უარყოფით განვითარებას და მზად არის, შესაბამისად მოარგოს მისი საოპერაციო გეგმები. ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მსგავსი მოვლენების და გარემოებების გავლენის შესამსუბუქებლად მიიღებს საპასუხო ზომებს (მათი მოხდენის თანავე).

კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა.

აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს და შვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეულ შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედეგის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლასა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2021 წლის 1 დეკემბერს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებულ

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „ზარალი საკუროს სხვაობიდან“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულება და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. პერიოდის ცვეთა აღიარდება ხარჯად მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	8-23
ოფისის აღჭურვილობა	3-10

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის დარიცხვის მეთოდების გადასინჯვა. თუ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ცვლილებას, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და/ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებული მხირ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. შენობების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 24 წელს. პერიოდის ცვეთა აღიარდება ხარჯდმოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის დარიცხვის მეთოდების გადასინჯვა. თუ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ცვლილებას, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივისგან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით, ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია აღირიცხება წრფივი მეთოდით განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის დარიცხვის მეთოდების გადასინჯვა. თუ აღდილი აქვს მნიშვნელოვან ცვლილებას, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება.

არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით გაუფასურებაზე მოწმდება წელიწადში ერთხელ და აგრეთვე, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ინდიკატორები.

აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება და უყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა და უყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს, არის თუ არა, ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას, თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლს უფლებას დროის გარკვეული პერიოდით, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის.

მოკლევადიანი იჯარისათვის, რომელთა საიჯარო პერიოდი არ აღემატება 12 თვეს და ასევე დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარის აღიცხვისათვის კომპანიამ აირჩია ფასს 16-ის პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა. მსგავსი ხელშეკრულებებისთვის საიჯარო გადასახდელს აღიარება ხდება ხარჯად იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველშეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,
- მოიჯარის მიერ გაწეულთა თავდაპირველპირდანიან ხარჯებს, და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

აქტივის გამოყენების უფლება შემდგომში ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, რომელიც კორექტირდება საიჯარო ვალდებულების გადაფასების გათვალისწინებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში.

კომპანია იყენებს ბასს 36-ს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურების დასადგენად და გამოვლენილი გაუფასურების ზარალს აღრიცხვისთვის.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი იჯარის დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარის ხელშეკრულებაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა ვერ ხერხდება, კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით.

შემდგომში საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანია აფორმებს საიჯარო ხელშეკრულებებს, როგორც მეიჯარე, მისი საინვესტიციო ქონების ფარგლებში. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. ხელშეკრულება კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, როდესაც იჯარის ფარგლებში ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და სარგებლის გადაცემა მოიჯარეზე. ყველა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად.

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კომპანია საოპერაციო იჯარიდან მიღებულ საიჯარო გადასახდელებს აღიარებს შემოსავლად წრფივი მეთოდით. თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები, რომლებიც წარმოიქმნა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესატანხმებლად, ემატება საიჯარო აქტივის საბალანსო ღირებულებას და იჯარის ვადის განმავლობაში აღიარდება ხარჯად.

ფინანსური იჯარისათვის, იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს აქტივს, როგორც მოთხოვნას, ნეტო საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით.

როდესაც ხელშეკრულება შეიცავს, როგორც საიჯარო, ისე არა საიჯარო კომპონენტებს, კომპანია იყენებს ფასს 15-ს, რათა გამოყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება თითოეული კომპონენტისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც იწვევს ერთი სუბიექტის ფინანსურ აქტივს და მეორე სუბიექტის ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება, როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველ აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელებზე, რომელსაც გამოიყენებს მათსა მართვად.

კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გამონაკლისია სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიდგომა გამოიყენა, იგი ფასდება გარიგების ფასით, ფასს 15-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთმოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება;

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეტოდის გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება.

კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და გაცემულსესხებს.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს საღროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულფულს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არერიცხება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა ფინანსურ ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებითმოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, დანაკარგის რეზერვი აღიარდება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. კოლექტიურ საფუძველზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის დასადგენად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის და ვადიანობის საფუძველზე. მოსალოდნელ ზარალის განაკვეთები ემყარება კომპანიის საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის წინა სამი წლის პერიოდით. წარსული გამოცდილებით განსაზღვრული ზარალის განაკვეთები კორექტირდება არსებული და მომავალში მოსალოდნელ მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთაც შეუძლია გავლენა მოახდინოს კომპანიის მომხმარებლებზე.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულ და მიიჩნევს, როდესაც სახელმწიფოებრივ გადახდები ვადაგადაცილებულია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულ დაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიაწოდებს იმაზე, რომ, სავარაუდოდ, კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფრავ სახელმწიფოებრივ თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფოებრივ ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელმწიფოებრივ ვალდებულება; ან
- (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველ რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველ რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას.

ყველ ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური სავაჭრო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის

პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციების ფარგლებში. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათვალისწინებულია ან ვადის გასვლა.

როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლთ ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე, რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განსაზღვრული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივი), შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია, როდესაც:

- კომპანია ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის;
- იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და
- იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად.

კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებული აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის, ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

კაპიტალიზებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება, როგორც კომპანიის საშუალო დაფინანსების დანახარჯი (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება კვალიფიციური აქტივებზე დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულ კვალიფიციური აქტივის შეძენისათვის. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალიზდება კონკრეტულ ნასესხებ თანხასთან დაკავშირებით, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებით ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები, შემცირებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლთა მასხვები თანხების დროებითი ინვესტირებიდან.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველ სხვა დანახარჯები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როცა ხდება მათი გაწევა.

ამონაგების აღიარება

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფართების იჯარით გაქირავება.

საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო გადასახდელები აღიარდება შემოსავლად წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებული ბეების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრო მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალში შევიდა ყველ კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველწიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა

- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლმობის შემოთგაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებებში უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტირებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს. კომპანიამ თავისი დაშვებების და შეფასებების საფუძვლად ის ინფორმაცია გამოიყენა, რომელიც ხელისაწვდომი იყო ფინანსური

ანგარიშგების მომზადების დროს, თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზრის პირობების ანგარიშგების ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია ყოველ საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აღიარებს ზარალს რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელ დარჩება.

5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

კომპანიამ სტანდარტის გამოყენება გადაწყვიტა მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან, სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. კომპანიამ არჩია არ გადაეფასებინა ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა, ან მოიცავს თუ არა იჯარას თავდაპირველი მიღების თარიღით. ამის ნაცვლად, იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც გაფორმდა გადასვლის თარიღამდე, კომპანია ეყრდნობოდა მის მიერ განხორციელებულ შეფასებას, რომელიც გაკეთდა ბასს 17-ის - „იჯარა“ და ფასიკ 4-ის - „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“ - შესაბამისად.

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიას ჰქონდა შეუქცევადი იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უკავშირდებოდა დაბალფასიანი აქტივების იჯარას და აღიარებულია, როგორც დანახარჯი მოგებასა და ზარალში, წრფივი მეთოდით. მენეჯმენტმა შესაბამისად გამოიყენა სტანდარტით დაშვებული შესაბამისი გამარტივებები და არ აღიარა არც აქტივის გამოყენების უფლება და არც საიჯარო ვალდებულებები.

კომპანიამ, რომლის საოპერაციო საქმიანობას აქტივის გაქირავება წარმოადგენს, ფასს 16-ის მიხედვით სათითაოდ ყველა საიჯარო ხელშეკრულება უნდა დაეყოს ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. ფასს 16-ის გათვალისწინებით კომპანიას როგორც მეიჯარეს არ აქვს ისეთი იჯარები, რომელიც არსებითად გადასცემს რისკებს მოიჯარეებს, შესაბამისად ყველა ხელშეკრულება კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა. ფასს 16-ის თანახმად კომპანია შემდგომში, როგორც მეიჯარე, საიჯარო ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს წრფივი მეთოდით.

კომპანიის აღრიცხვაზე ფასს 16-ს არქონია არსებითი გავლენა.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ფასიკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარიდან);
- ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ცვლილებები ბასს 28 „გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლავ საწარმოებში“ (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

- ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ ნაადრევადარ შემოიღო არის შემდეგი:

- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილი თარიღითან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის);
- ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის);
- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- საწარმოს განმარტება - ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- არსებითობის განმარტება - ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ);
- შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე - ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- Covid-19-თან დაკავშირებული კონცესიები - შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(გრძელს ლარში)

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019	2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	124,460	1,474	-
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-	11,594
სულ	124,460	1,474	11,594

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2020	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	247,573	881,579	309,664
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	720,076	(79,924)	(79,924)
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	967,649	801,655	229,740
სხვა მოთხოვნები	-	573,307	567,572
გადახდილი ავანსები	-	69,946	9,185
სულ	967,649	1,444,909	806,498

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან. სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და არ არის უზრუნველყოფილი.

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

	სულ	არც ვადა გადაცილებული და არც გაუფასურებული	ვადა გადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული			
			60 დღეზე ნაკლები	60-120 დღე	120-360 დღე	360 დღეზე მეტი
2020 წელი	1,039,568	151,639	-	-	8,005	879,924
2019 წელი	1,454,886	801,655	-	-	-	653,231

წარსული გამოცდილებისა და კლიენტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის საფუძველიანი ანალიზის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არა გაუფასურებული თანხები ჯერ კიდევ სრულად ამოღებადი.

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(გრძელ ლარში)

სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვი

რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბერს	79,924
წლის დანარიცხი	-
შემობრუნება წლის განმავლობაში	-
რეზერვი 2018 წლის 31 დეკემბერს	79,924
წლის დანარიცხი	-
შემობრუნება წლის განმავლობაში	-
რეზერვი 2019 წლის 31 დეკემბერს	79,924
წლის დანარიცხი	800,000
შემობრუნება წლის განმავლობაში	-
რეზერვი 2020 წლის 31 დეკემბერს	879,924

8. გაცემული სესხები და მისაღები პროცენტი

	2020	2019	2018
ამორტიზებული ღირებულებით	-	4,593,529	6,964,771
შეფასებული ფინანსური აქტივები	-	5,989,337	4,586,424
მისაღები პროცენტი	-	10,582,866	11,551,195
სულ	-	10,582,866	11,551,195
მიმდინარე ნაწილი	-	8,120,038	7,449,660
გრძელვადიანი ნაწილი	-	2,462,828	4,101,535
სულ	-	10,582,866	11,551,195

კომპანიის სესხები და მისაღები პროცენტი ვალუტების მიხედვით
შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	2020	2019	2018
	ეკ. ლარში	ეკ. ლარში	ეკ. ლარში
ლარი	-	5,229,032	5,977,903
აშშ დოლარი	-	5,353,834	5,573,292
სულ	-	10,582,866	11,551,195

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(გრძელად ლარში)

9. მარაგები

	2020	2019	2018
ნ ე დღე უ ლი და მ ა ს ა ლ ე ბ ი	20,947	3,390	-
ს უ ლ	20,947	3,390	-

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 120,547 ლარი (2019 წელს 4,419 ლარი, 2018 წელს 0 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ხარჯმა შეადგინა 0 ლარი (2019 და 2018 წელს 0 ლარი).

10. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მ ა ნ კ ა ნ ა - და ნ ა დგ ა რ ე ბ ი	ო ფ ი ს ი ს ა ლ ჭ უ რ ვ ი ლ ბ ა	ს უ ლ
1 ი ა ნ ვ ა რ ი 2018	764,530	3,591	768,121
შე მო ს ვ ლ	-	-	-
გ ა ს ვ ლ	(37,966)	-	(37,966)
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2018	726,564	3,591	730,155
შე მო ს ვ ლ	-	-	-
გ ა ს ვ ლ	(215,354)	-	(215,354)
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2019	511,210	3,591	514,801
შე მო ს ვ ლ	-	1,097	1,097
გ ა ს ვ ლ	(153,115)	(917)	(154,033)
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2020	358,095	3,770	361,865
ც ვ ე თ ა და გა უ ფ ა ს უ რ ე ბ ა			
1 ი ა ნ ვ ა რ ი 2018	(425,352)	(1,361)	(426,714)
პ ე რ ი ო დ ი ს ც ვ ე თ ა	(76,855)	(521)	(77,376)
გ ა ს ვ ლ	25,098	-	25,098
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2018	(477,109)	(1,882)	(478,992)
პ ე რ ი ო დ ი ს ც ვ ე თ ა	(62,334)	(521)	(62,855)
გ ა ს ვ ლ	175,639	-	175,639
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2019	(363,804)	(2,403)	(366,208)
პ ე რ ი ო დ ი ს ც ვ ე თ ა	(47,324)	(668)	(47,991)
გ ა ს ვ ლ	143,824	837	144,661
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2020	(267,304)	(2,234)	(269,538)
ნ ე ტ ო ს ა ბ ა ლ ნ ს ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა			
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2018	249,455	1,709	251,163
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2019	147,406	1,188	148,593
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2020	90,429	1,537	92,327

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

11. საინვესტიციო ქონება

თვითღირებულება	მიწა	შენობები	სულ
1 იანვარი 2018	2,800,000	10,448,676	13,248,676
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	2,800,000	10,448,676	13,248,676
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	2,800,000	10,448,676	13,248,676
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	2,800,000	10,448,676	13,248,676
ცვეთა და გაუფასურება			
1 იანვარი 2018	2,800,000	10,448,676	13,248,676
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	(2,753,828)	(2,753,828)
პერიოდის ცვეთა	-	(452,565)	(452,565)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	(3,206,393)	(3,206,393)
პერიოდის ცვეთა	-	(451,325)	(451,325)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	(3,657,719)	(3,657,719)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2018	2,800,000	7,694,848	10,494,848
31 დეკემბერი 2019	2,800,000	7,242,283	10,042,283
31 დეკემბერი 2020	2,800,000	6,790,958	9,590,958

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება შეადგენს 12,000,000 ლარს. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასება გაკეთდა კომპანიის მეჯმენტის მიერ.

კომპანიის მთელი საინვესტიციო ქონება დატვირთულია იპოთეკით საბანკო სესხების სანაცვლოდ (შენიშვნა 14).

კომპანიის მიერ საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაცემული ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი შეადგინა 1,599,642 ლარი (2019 წელს 2,864,999 ლარი).

მოგება -ზარალში აღირებული საიჯარო შემოსავალი:

	2020	2019
საიჯარო შემოსავალი	1,599,642	2,864,999
სულ	1,599,642	2,864,999

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

12. ა რ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ა ქ ტ ი ვ ე ბ ი

თ ვ ი თ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა	პ რ ო გ რ ა მ უ ლ ო უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ა	ს უ ლ
1 ი ა ნ ვ ა რ ი 2018	1,071	1,071
შ ე მ ო ს ვ ლ	-	-
გ ა ს ვ ლ	-	-
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2018	1,071	1,071
შ ე მ ო ს ვ ლ	-	-
გ ა ს ვ ლ	-	-
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2019	1,071	1,071
შ ე მ ო ს ვ ლ	996	996
გ ა ს ვ ლ	-	-
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2020	2,067	2,067
ა მ ო რ ტ ი ზ ა ც ი ა და გ ა უ ფ ა ს უ რ ე ბ ა		
1 ი ა ნ ვ ა რ ი 2018	(885)	(885)
პ ე რ ი ო დ ი ს ა მ ო რ ტ ი ზ ა ც ი ა	-	-
გ ა ს ვ ლ	-	-
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2018	(885)	(885)
პ ე რ ი ო დ ი ს ა მ ო რ ტ ი ზ ა ც ი ა	-	-
გ ა ს ვ ლ	-	-
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2019	(885)	(885)
პ ე რ ი ო დ ი ს ა მ ო რ ტ ი ზ ა ც ი ა	-	-
გ ა ს ვ ლ	-	-
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2020	(885)	(885)
ნ ე ტ ო ს ა ბ ა ლ ნ ს ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა		
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2018	186	186
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2019	186	186
31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 2020	1,182	1,182

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

13.სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	86,378	74,000	26,233
სხვა მოკლევადიანი	-	-	-
ვალდებულებები			
სულ	86,378	74,000	26,233

ამორტიზებული ღირებულებებით შეფასებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან. სავაჭრო კრედიტორულ და ვალაჩებას პროცენტი არ ერიცხება და არ არის უზრუნველყოფილი.

14.მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი

	2020	2019	2018
ამორტიზებული ღირებულებით			
შეფასებული ფინანსური	12,968,789	22,140,696	23,837,482
ვალდებულებები			
გადასახდელი პროცენტი	7,546,603	8,365,806	6,685,213
სულ	20,515,391	30,506,502	30,522,695
მიმდინარე ნაწილი	7,546,603	17,815,990	17,718,922
გრძელვადიანი ნაწილი	12,968,789	12,690,514	12,803,774
სულ	20,515,392	30,506,503	30,522,696

კომპანიის სესხები და გადასახდელი პროცენტი ვალუტების მიხედვით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	2020	2019	2018
	ეკ. ლარში	ეკ. ლარში	ეკ. ლარში
ლარი	12,534,946	12,534,946	14,904,278
აშშ დოლარი	7,980,446	17,971,557	15,618,418
სულ	20,515,392	30,506,503	30,522,696

საბანკო სესხები დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 10 - 11.5%-ს. სესხებს, ახლავს პირობა, რომ კომპანიამ ბანკს უნდა გადაუხადოს სავალუტო რისკის პრემია, თუ სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტების გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში იქნება 2.3523-ზე მეტი. საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საინვესტიციო ქონებით (შენიშვნა 11). საბანკო სესხები აგრეთვე

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(გრძელ ლარში)

უზრუნველყოფილია მფლობელთა კუთვნილი წილით საწარმოში. უზრუნველყოფის სანაცვლოდარხდება კომპენსაციის გადახდა.

დოლარში დენომინირებული სესხები მიღებულია დაკავშირებული მხარეებისგან. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 9 - 14%-ს.

15. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებული მხარეებად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

კომპანიის დაკავშირებული მხარეებთან დასაფარინაშთები იყო შემდეგი:

ანგარიშგების მუხლი	დაკავშირებული მხარე	2020	2019
სხვა მოთხოვნები	სხვა დაკავშირებული მხარეები	-	573,307
სავაჭრო ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარეები	14,009	14,009
გაცემული სესხები	სხვა დაკავშირებული მხარეები	-	4,593,529
მისაღები პროცენტი	სხვა დაკავშირებული მხარეები	-	5,989,337
მიღებული სესხები	სხვა დაკავშირებული მხარეები	433,843	9,605,750
გადასახდელი პროცენტი	სხვა დაკავშირებული მხარეები	7,546,603	8,365,806

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეებთან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის იყო შემდეგი:

ანგარიშგების მუხლი	დაკავშირებული მხარე	2020	2019
საკონსულტაციო ხარჯები	სხვა დაკავშირებული მხარეები	7,627	30,508
ფინანსური შემოსავალი	სხვა დაკავშირებული მხარეები	681,997	1,329,438
ფინანსური ხარჯი	სხვა დაკავშირებული მხარეები	640,461	1,203,292

საპროცენტო განაკვეთი დოლარში დენომინირებულ გაცემულ სესხებზე შეადგენს წლიურ 9.5 - 20%-ს, ხოლო ლარში დენომინირებულ სესხებზე წლიურ 24.2%-ს. სესხები არარის უზრუნველყოფილი.

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საპროცენტო განაკვეთი მიღებულ სესხებზე შეადგენს წლიურ 9 - 14%-ს. სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განხორციელდა დაკავშირებული ნარეებთან მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა (შენიშვნა 18).

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

	2020	2019
დაქირავებული პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	80,738	89,624
სულ	80,738	89,624

16. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის განმავლობაში ადგილი ქონდა გაცემული სესხებისა და მიღებული სესხების ურთიერთჩათვლას 912,224 ლარის ოდენობით (2018 წელს 1,069,573 ლარი), რაც წარმოადგენს არაფულად ოპერაციას და არ არის ასახული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ცვლილებების შეჯერება, როგორც ფულადი ისე არაფულადი ოპერაციებიდან. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს განეკუთვნება ისეთი ვალდებულებები, რომელთა ფულადი ნაკადები უკვე ასახულია ან მომავალში აისახება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საფინანსო საქმიანობის ნაწილში.

	მიღებული სესხები	გადასახდელო პროცენტები	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის	23,837,482	6,685,213	30,522,695

ფულადი ცვლილებები:

სესხის აღება	912,224	-	912,224
სესხის დაფარვა	(2,340,606)	-	(2,340,606)
პროცენტის გადახდა	-	(1,528,841)	(1,528,841)

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(გრძელ ლარში)

არა ფულადი ცვლადები:

პროცენტის დარიცხვა	-	2,732,133	2,732,133
საკუროს სხვაობის ეფექტი	632,855	477,301	1,110,156
გაცემულ სესხებთან და მისაღებ პროცენტებთან ურთიერთობა	(912,224)	-	(912,224)
სხვა ცვლადები	10,965	-	10,965

ნაშთი 2019 წლის 31

დეკემბრისთვის	22,140,696	8,365,806	30,506,502
---------------	------------	-----------	------------

ფულადი ცვლადები:

სესხის აღება	80,399	-	80,399
სესხის დაფარვა	-	-	-
პროცენტის გადახდა	-	-	-

არა ფულადი ცვლადები:

პროცენტის დარიცხვა	2,006,549	640,461	2,647,010
საკუროს სხვაობის ეფექტი	1,382,345	546,985	1,929,330
გაცემულ სესხებთან და მისაღებ პროცენტებთან ურთიერთობა	(12,371,582)	-	(12,371,582)
სხვა ცვლადები	(269,719)	(2,006,549)	(2,276,268)

ნაშთი 2020 წლის 31

დეკემბრისთვის	12,968,689	7,546,703	20,515,391
---------------	------------	-----------	------------

17. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

კომპანიას აქვს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება მიღებული სესხების, სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებისა და სხვა ვალდებულებებისგან. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს გაცემულ სესხებს, სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას, ფულადი სახსრებსა და მათეკვივალენტებს, რომლებსაც ის პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან იღებს.

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(გრძელს ლარში)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

კომპანია საკრედიტო რისკს გასწევს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო დებიტორული დავალიანება) და ფინანსური საქმიანობიდან, ასევე ბანკებში განთავსებული ანგარიშებიდან გამომდინარე.

კომპანიის საკრედიტო რისკზე გავლენას ძირითადად ახდენს თითოეული კლენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. თუმცა, ხელმძღვანელობა მაკროეკონომიკურ ფაქტორებსაც ითვალისწინებს.

საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი ძირითადად კონტროლდება ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

ანგარიშგების თარიღისთვის საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა არის:

	საბალანსო ღირებულება		
	2020	2019	2018
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	124,460	1,474	11,594
სავაჭრო მოთხოვნები	967,649	801,655	229,740
სხვა მოთხოვნები	-	573,307	567,572
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტი	-	10,582,866	11,551,195
	1,092,109	11,959,302	12,360,102

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მოქმედებს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

კომპანიას აქვს შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში:

	აშშ დოლარში გამოხატული	
	2020	2019
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	-	-
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტი	-	1,866,944
მიღებული სესხები და გადასახდელო პროცენტი	(2,435,587)	(6,266,889)

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ნ ე ტო პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,435,587)	(4,399,945)
---	--------------------	--------------------

კომპანია არახდენს სავალუტო რისკების მართვას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია აშშ დოლრთან მიმართებაში ლარის კურსის მოსალოდნელი ცვლილების გავლენა გადასახადის შემდგომ წლის მოგებაზე, სხვა ფაქტორების უცვლელი პირობით:

	გამყარება	გაუფასურება
2020 წელი		
აშშ დოლრი (20%-იანი ცვლილება)	1,596,089	(1,596,089)
2019 წელი		
აშშ დოლრი (20%-იანი ცვლილება)	2,523,545	(2,523,545)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებულ ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადანგარიშდება სპოტ გაცვლითი კურსით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალოზი 2020 წლის 31 დეკემბერს:

	1 წლამდე	1 - 5 წელი	5 წლის შემდეგ	სულ
ნასესხები სახსრები	10,113,154	7,026,220	435,112	17,574,486
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	86,378	-	-	86,378
სულსამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	10,199,532	7,026,220	435,112	17,660,864

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალოზი 2019 წლის 31 დეკემბერს:

შპს თბილისი მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	1 წლამდე	1 - 5 წელი	5 წლის შემდეგ	სულ
ნასესხები სახსრები	20,187,679	11,387,453	1,074,287	32,649,419
სავაჭრო და სხვა				
ვალდებულებები	74,000	-	-	74,000
სულსამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და პროცენტის გადახდები	20,261,678	11,387,453	1,074,287	32,723,418

სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილ ხელის მანძილს პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც განსაზღვრულია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ლი დონით ფასდება.

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის პოლიტიკა. ხსენებული პოლიტიკის მიზანია შესაბამისი დადებითი კაპიტალის ფლობა, ოპერაციების ფუნქციონირებადი საწარმოს სახით გასაგრძელებლად.

18. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

კორონავირუსის გავრცელების პოტენციური ეფექტები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება - გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აქედან გამომდინარე, კორონავირუსის ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ ბალანს შემდგომ მოვლენას ფასს - ების შესაბამისად. კორონავირუსის გავრცელებას ვერ ექნება გავლენა პროგნოზებსა და დაშვებებზე, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის

მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. კორონავირუსის შედეგები შეიძლება იყოს ძალიან ფართოდ გავრცელებული და ბევრ ინდუსტრიას შეეხოს. კორონავირუსმა შესაძლოა გავლენა იქონიოს თითქმის ყველა სექტორში მოღვაწე საწარმოზე შემდგომი ზემოქმედების გამო;

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული ამონაგები, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო;
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე;
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალდებულო ინსტრუმენტების ჩათვლით;
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამინებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ვირუსის შესაძლო ეფექტი შეიძლება იყოს შემდეგი:

- ამონაგების შემცირება დაწესებული შეზღუდვების გამო;
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზრდა კონტრაგენტების გადახდის უნარუნარიანობის გაუარესების გამო;
- გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს აქტივის გამოყენებიდან მოსალოდნელი მომავალი წმინდა ფულადი ნაკადების და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების შემცირებით.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია, რადგან დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარება და ეფექტი ცვალებადია.